პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 244 (5274)

1974 წ. 10 დეკემბერი, სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

### საქდესის ცნობა

# „სოიუზ-16“: ფრენა დამთავრდა

1974 წლის 8 დეკემბერს „სოიუზ-16“ ხომალდზე სამუშაოთა პროგრამის წარმატებით შესრულების შემდეგ კოსმონავტები ამხანაგები ანატოლი ვასილის ძე ფილიპჩენკო და ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რუკავიშნიკოვი დედამიწაზე დაბრუნდნენ.

11 საათსა და 4 წუთზე მოსკოვის დროით „სოიუზ-16“ კოსმოსური ხომალდის დასაშვები აპარატი რბილად დაეშვა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, 300 კილომეტრზე ქალაქ ჯეზკაზგანის ჩრდილოეთით. დედამიწაზე დაშვების შემდეგ კოსმონავტები თავს კარგად გრძნობენ.

ექვსი დღე-ღამის ორბიტული ფრენის დროს განხორციელდა შეპირაპირების ახალი აგრეგატისა და მისი ავტომატიკის, ორიენტაციის, მოძრაობის მართვისა და სიცოცხლის უზრუნველყოფის იმ სისტემების დაგეგმილი გამოცდები, რომლებიც მოდერნიზებულია 1975 წელს გათვალისწინებული „სოიუზ“ და „აპოლონ“ კოსმოსური ხომალდების საბჭოთა კავშირ-ამერიკის ექსპერიმენტების მოთხოვნათა შესაბამისად. „სოიუზ-16“ ხომალდის მანევრირების, ორიენტაციისა და სტაბილიზაციის დროს იხვეწებოდა ეკიპაჟის მოქმედება და მუშაობის რეჟიმები იმ ამოცანების შესრულებისას, რომლებიც მომავალი ერთობლივი ფრენის ამოცანების იდენტურია.

გათვალისწინებული პროგრამის შესაბამისად კოსმონავტები ა. ვ. ფილიპჩენკო და ნ. ნ. რუკავიშნიკოვი ეწეოდნენ მეცნიერულ და მეცნიერულ-ტექნიკურ კვლევას, ფოტოსურათებს უღებდნენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიის სხვადასხვა ნაწილს სახალხო მეურნეობის ინტერესებისთვის.

ფრენის ყველა ეტაპზე, რომელიც მიმდინარეობდა მომავალი კოსმოსური ექსპერიმენტის პირობების მაქსიმალურად მსგავს პირობებში, „სოიუზ-16“ ხომალდის სისტემები და ხომალდში დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობდა.

ფრენის დროს მიღებული მეცნიერული ექსპერიმენტების შედეგებს ამუშავებენ და სწავლობენ.



# პირველი გამარჯვება

სვერდლოვსკი, 8 დეკემბერი. „ურალმაშს“ 42-ე ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში რამდენიმე რეკორდი ეკუთვნის. ჯერ ერთი, ყველაზე მეტი ბურთი აქვს „გატანილი“ (1032). ასევე სარეკორდოა მის მიერ „გაშვებული“ ბურთების რაოდენობაც (1265). ნუ მივაქცევთ ყურადღებას იმას, რომ სვერდლოვსკელმა კალათბურთელებმა ყველაზე მეტი მატჩი ჩაატარეს. ფაქტი ხომ მაინც ფაქტია?

### სსრ კავშირის ჩემპიონატი

დღეს ურალმაშმა პირველი გამარჯვება ჩაიწერა სატურნირო ცხრილში: (ესეც თავისებური რეკორდია). დაამარცხა კაუნასის „ჟალგირისი“ ანგარიშით 96:87.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 9 დეკემბრისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ | 10 | 9 | 1 | 896-722 | 9 |
| „დინამო“ (თბ.) | 10 | 9 | 1 | 874-826 | 9 |
| ცსკა | 10 | 8 | 2 | 966-819 | 8 |
| „დინამო“ (მ.) | 8 | 7 | 1 | 703-574 | 7 |
| „ჟალგირისი“ | 11 | 7 | 4 | 948—924 | 7 |
| „კალევი“ | 8 | 3 | 5 | 663-666 | 3 |
| „სტროიტელი“ | 8 | 2 | 6 | 664-697 | 2 |
| „სტატიბა“ | 10 | 2 | 8 | 786-896 | 2 |
| რტი | 10 | 1 | 9 | 775-918 | 1 |
| „ურალმაში“ | 13 | 1 | 12 | 1032-1265 | 1 |

# სტატისტიკის მოყვარულთათვის

უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის IX და X ტურში თბილისის „დინამომ“ დაამარცხა სვერდლოვსკის „ურალმაში“. გთავაზობთ ამ შეხვედრათა ტექნიკურ ოქმებს:

სვერდლოვსკი. „ურალმაშის“ სპორტული დარბაზი. 3 დეკემბერი.

„ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „დინამო“ (თბილისი) 89:95 (51:54).

„ურალმაში“: მიშკინი (გუნდს შესძინა 24 ქულა), სმირნოვი (19), მიშაკოვი (15), კოვალიოვი (14), ივანოვი (9), სულაკოტკო (6), კოროსტილიოვი (2).

„დინამო“: მ. ქორქია (31), ქარაბაკი (20), ჩიხლაძე (12), ბოლქვაძე (9), ჩხიკვაძე (9), ბიჭიაშვილი (8), ძიძიგური (6).

მსაჯები: ვ. ზაიცევი (მოსკოვი), ი. დოკტოროვიჩი (ოდესა).

დუბლიორები — 87:86 (51:49).

• • •

სვერდლოვსკი. „ურალმაშის“ სპორტული დარბაზი. 4 დეკემბერი.

„ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „დინამო“ (თბილისი) 82:85 (44:50).

„ურალმაში“: მიშკინი (30), სმირნოვი (20), სულაკოტკო (13), მიშაკოვი (10), კოროსტილიოვი (5), ივანოვი (4).

„დინამო“: მ. ქორქია (25), ქარაბაკი (15), ჩიხლაძე (10), ჩხიკვაძე (10), ძიძიგური (8), ბოლქვაძე (7), პულავსკი (6), ბიჭიაშვილი (4), ჭგერენაია.

მსაჯები: ვ. რუჩინსკასი (კაუნასი), ი. გორბულიაკი (კიშინიოვი).

დუბლიორები — 70:75 (31:35).

# სტარტს იღებს I ლიგა

დეკემბრის პირველ რიცხვებში სტარტი აიღო კალათბურთელ ვაჟთა კიდევ ერთმა საკავშირო ასპარეზობამ — I ლიგის გუნდების ტურნირმა. ამ შეჯიბრების მონაწილენი დაყოფილი არიან სამ ჯგუფად (თითოეულ ჯგუფში 7-7 გუნდი გამოდის). ჯგუფური ტურნირები ოთხ წრედ ტარდება (ისევე როგორც უმაღლეს ლიგაში — ორი მატჩი შინ, ორი — მეტოქის მოედანზე). I-II ადგილებზე გასული კოლექტივები შექმნიან ახალ ჯგუფს — ფინალისტთა ექვსეულს, რომელიც გაითამაშებს საპრიზო ადგილებს. ორი უძლიერესი კოლექტივი 43-ე საკავშირო ჩემპიონატში თამაშის უფლებას მიიღებს, დანარჩენები კი სატურნირო ცხრილში უკეთესი ადგილებისთვის იბრძოლებენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო სამ ადგილზე გასული გუნდები გაისად დატოვებენ I ჯგუფს და უფრო დაბალ ლიგაში გადავლენ.

აი, როგორ განაწილდნენ გუნდები ჯგუფებში: I ჯგუფი. ასკ (კიევი), „ბურევესტნიკი“ (თბილისი), „პოლიტექნიკი“ (კიშინიოვი), „სპარტაკი“ (ნიკოლაევი), „ტრუდი“ (კრასნოდარი), „კრასნი კოტელშჩიკი“ (ტაგანროგი), „ავანგარდი“ (დონეცკი). II ჯგუფი. ასკ (რიგა), ვეფ (რიგა), ასკ (ლენინგრადი), „ტრუდი“ (მოსკოვის ოლქი), „ავანგარდი“ (ხარკოვი), „ალმაზი“ (მოსკოვი), „სტროიტელი“ (ტალინი). III ჯგუფი. „ბურევესტნიკი“ (ბაქო), „დინამო“ (დუშანბე), „უნივერსიტეტი“ (ტაშკენტი) „ლოკომოტივი“ (ალმა-ათა), ფიზკულტურის ინსტიტუტი (ერევანი), „ზახმეტი“ (აშხაბადი), „ბურევესტნიკი“ (ფრუნზე).

თბილისელმა კალათბურთელებმა უკვე 4 შეხვედრა ჩაატარეს და ყველა წააგეს. ჯერ ისინი კრასნოდარში თამაშობდნენ ადგილობრივ „ტრუდთან“, სადაც დამარცხდნენ — 56:65 და 50:81.

7 და 8 დეკემბერს „ბურევესტნიკმა“ ლენინის სახელობის სპორტდარბაზში კიევის არმიელებს უმასპინძლა. მეტოქე გუნდის სიძლიერეზე ლაპარაკი ზედმეტია. უკრაინის დედაქალაქის არმიელთა ღირსებას იცავენ კალათბურთელები, რომლებიც წლების მანძილზე წარმატებით გამოდიოდნენ უმაღლეს ლიგაში და, ასე განსაჯეთ, სსრ კავშირის ჩემპიონატის პრიზიორებიც იყვნენ (1972 წელს).

კიევის ასკ, საერთო აღიარებით ამ ტურნირის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტია, მაგრამ... არმიელებმა არც ისე დამაჯერებლად დაიწყეს ჩემპიონატი და სტარტზევე დამარცხდნენ (1 ქულით) ისიც შინ, კიშინიოვის არც თუ ისე ძლიერ კოლექტივთან. არმიელთა მწვრთნელი ა. ლეონოვი უკმაყოფილოა თავისი გუნდის თამაშით. მან განაცხადა, რომ გუნდის წამყვანი ბირთვი (სუშაკი, ნოვიკოვი, ეგოროვი, ხრომაევი) ჯერ კიდევ არ არის ფორმაში. ლეონოვი, როგორც ჩანს, თავს იზღვევდა მოსალოდნელი უსიამოვნებისგან თბილისში, რომელიც მისდა საბედნიეროდ არ მოხდა, პირიქით, კიევის არმიელებმა ორივე შეხვედრა დამაჯერებლად ჩაატარეს და წარმატებითაც დაამთავრეს. პირველში სტუმრების უპირატესობა 8 ქულით განისაზღვრებოდა 72:64 (40:32), მეორეში კი 17 ქულით — 84:67 (40:33).

რა შეიძლება ითქვას „ბურევესტნიკის“ თამაშზე? ამ გუნდს არ აკლია არც მონდომება, არც აზარტი და თავგანწირვა. მაგრამ ეს თვისებები, როგორც იცით, არ არის საკმარისი წარმატების მოპოვებისთვის. ოსტატობა და გამოცდილება კი „ბურევესტნიკის“ ბევრ წევრს აშკარად აკლია. ალბათ ამის მიზეზი იყო ის, რომ მასპინძლებმა გუშინწინ ვერ გამოიყენეს არმიელთა საკმაოდ ხანგრძლივი შოკი მატჩის მიწურულში...

ასკ-მ სრულიად მოულოდნელად დაკარგა 18 ქულიანი უპირატესობა და მოახლოებულ ფინიშს აფორიაქებული შეხვდა. თბილისელებმა კარგად გამოიყენეს მეტოქის პანიკა და სხვაობა 6 ქულამდე შეამცირეს. ამ შეხვედრის გადარჩენა მასპინძლებს უთუოდ შეეძლოთ, მაგრამ მათ გამოცდილებამ უმტყუნა. როგორც კი გაჩნდა გამარჯვების შანსი, თბილისელები პანიკამ მოიცვა — მათ შეცდომა შეცდომაზე დაუშვეს, რაც კარგად გამოიყენეს არმიელებმა და აღადგინეს წონასწორობა.

აი, ბურევესტნიკელთა მიერ დაგროვილი ქულების მარაგი ამ ორი შეხვედრის ჯამში: ქუთათელაძე — 33, კილასონია—28, ჭეიშვილი — 25, ტანია — 13, მაღალაშვილი — 12, სულავა — 7, სავოსტიანოვი — 6, მაგრაქველიძე — 5, იაჭაშვილი — 2.

ნ. ახვლედიანი.

# ზელენკო, მორჩილაძე, ბაკანაჩი...

პირველი აბსოლუტური ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში გათამაშდა ომამდე, 1939 წელს. ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ქვემძიმე წონის ათლეტმა, ჩვენმა სახელოვანმა თანამემამულემ კონსტანტინე კობერიძემ. მას შემდეგ კიდევ ოთხჯერ იასპარეზეს უძლიერესებმა ამ პოპულარული ტიტულის მოსაპოვებლად და ოთხივეჯერ (1940, აგრეთვე 1943—1945 წწ.) წარმატებას ესტონელმა გოლიათმა იოჰანეს კოტკასმა მიაღწია. შემდგომში კობერიძეც და კოტკასიც მსოფლიო მნიშვნელობის მოჭიდავეები გახდნენ, მაგრამ, აბსოლუტურ ჩემპიონატში მონაწილეობა აღარ მიუღიათ, ვინაიდან ეს ტურნირი საერთოდ გაუქმდა.

წლეულს კარგი ტრადიცია განახლდა. აბსოლუტური ჩემპიონები უკვე გამოვლინდნენ თავისუფალ ჭიდაობაში, სამბოში და აი, ჯერი კლასიკურ ჭიდაობაზეც მიდგა. ამ საინტერესო ტურნირს კაუნასი მასპინძლობდა.

ასპარეზობის პირველივე შეხვედრებმა ცხადყო თბილისელი სპორტსმენის შოთა მორჩილაძის პრეტენზიის საფუძვლიანობა. გადამწყვეტ ბრძოლამდე მას არც ერთი საჯარიმო ქულა არ ჰქონდა. ფინალში მორჩილაძის მეტოქე იყო მასზე გაცილებით უფრო მძიმე და ხნიერი (10 წლით), მინსკელი ანატოლი ზელენკო. ეს შეხვედრა მინსკელი ათლეტის მცირე უპირატესობით წარიმართა და მისივე გამარჯვებით დამთავრდა.

საპრიზო ადგილების საბოლოო განაწილებაში გავლენა შეეძლო მოეხდინა ფრუნზელი ვეტერანის, 36 წლის ვასილი ბაკანაჩის გამოსვლას. იგი ზელენკოსაც უნდა შეხვედროდა და მორჩილაძესაც. მაგრამ როგორც კი გაინაღდა III საპრიზო ადგილი, ბაკანაჩმა უარი თქვა ორი ბოლო შეხვედრის ჩატარებაზე. საბოლოოდ ამ საინტერესო ასპარეზობაში ადგილები განაწილდა ასე: 1. ა. ზელენკო (მინსკი), 2. შ. მორჩილაძე (თბილისი), 3. ვ. ბაკანაჩი (ფრუნზე).

# მოროზოვას წარმატება

ადელაიდა, 8 დეკემბერი. ავსტრალიის ამ ქალაქში დამთავრდა ქვეყნის სამხრეთის შტატის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატი. დიდი ინტერესი გამოიწვია ქალთა ერთეულების ფინალურმა შეხვედრამ. ითამაშეს მოსკოველმა ო. მოროზოვამ და ავსტრალიელმა ი. გულაგონგმა. პირველი პარტია საბჭოთა ჩოგბურთელმა მოიგო — 7:6, მეორეში თავიდანვე დაწინაურდა ავსტრალიელი და ანგარიში გათანაბრდა — 6:2. გადამწყვეტ პარტიაში იმარჯვა მოროზოვამ (6:2) და მოიხვეჭა ჩემპიონის ტიტული.

ვაჟთა შორის გაიმარჯვა შვედმა ბ. ბორგმა, რომელმაც ფინალური ბრძოლა მოუგო ახალზელანდიელ ო. პარუნს — 6:4, 6:4, 3:6, 6:2. ამ უკანასკნელმა ნახევარფინალში დაამარცხა თბილისელი ა. მეტრეველი. გოგონათა ფინალურ მატჩში მოსკოველი ნ. ჩმირიოვა დამარცხდა ინგლისელ ს. ბარკერთან — 7:5, 3:6, 2:6.

# ლიდერობს ყველაზე უმცროსი

ლენინგრადში 42-ე საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ტურნირში მოეწყო 6 ტურის შემდეგ გადადებული პარტიების დამთავრება.

4 პარტია დაამთავრა ახალგაზრდა ოსტატმა ა. ბელიავსკიმ (ლვოვი). მან დაამარცხა დიდოსტატი რ. ვაგანიანი (ერევანი), ოსტატი ვ. კუპრეიჩიკი (მინსკი) და დაუზავდა ოსტატებს — მოსკოვის ჩემპიონს ბ. გულკოსა და ო. რომანიშინს. კიდევ 2-2 პარტია დაამთავრეს კუპრეიჩიკმა და რომანიშინმა. პირველმა წააგო შეხვედრები გულკოსთან და ოსტატ ლ. ალბურტთან (ოდესა), ხოლო მეორემ ყაიმით დაამთავრა პარტიები ალბურტთან და კ. გრიგორიანთან (მოსკოვი). ყაიმით დასრულდა აგრეთვე ალბურტ — ვ. სავონის (ხარკოვი) შეხვედრა.

ამრიგად, 6 ტურის შემდეგ ერთპიროვნულად ლიდერობს ტურნირის ყველაზე უმცროსი მონაწილე, 21 წლის ა. ბელიავსკი — 4 ქულა. მას კვალში მეტოქეთა დიდი ჯგუფი მიჰყვება: გ. კუზმინი (ვოროშილოვგრადი), მ. დვორეცკი, ი. ბალაშოვი (ორივე — მოსკოვი), მ. ტალი (რიგა), ლ. პოლუგაევსკი (მოსკოვის ოლქი), ო. რომანიშინი, რ. ვაგანიანი და ლ. ალბურტი — 3,5-3,5.

ჭადრაკი

### ავიამოდელიზმის მოყვარულთათვის



მოსკოვი. ავიამოდელიზმი სულ უფრო მეტ ენთუზიასტებს იზიდავს. ამ სახეობის პოპულარობასა და განვითარებას მთელ თავისუფალ დროს უთმობენ დოსააფის ცენტრალური სპორტულ-ტექნიკური კლუბის სპორტსმენები. აქ იქმნება საფრენი აპარატების მოდელები, რომლებიც შემდეგ სერიული გამოშვებისთვის იგზავნება. კლუბის ენთუზიასტები ახალ ავიახელსაწყოებსა და მიკროძრავებს ქმნიან...

• • •

სურათზე: მსოფლიო თასის ორგზის მფლობელი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ბ. კისელიოვი (მარცხნივ) და სპორტის ოსტატი გ. ჩასტნი ახალ ავიამოდელზე მუშაობისას.

ა. კონკოვის ფოტო. (საქდესი).

# ფედერაცია მუშაობას იწყებს

ამას წინათ თბილისში გაიმართა სათხილამურო და საციგაო სპორტის საქართველოს რესპუბლიკური ფედერაციის დამფუძნებელი კრება. როგორც ცნობილია, მანამდე ამ სახეობებს მეურვეობას უწევდა რესპუბლიკის სამთო-სათხილამურო სპორტის ფედერაცია, მაგრამ ცალკეული სახეობების განვითარებისთვის ზრუნვის გაძლიერებამ მოითხოვა სათხილამურო და საციგაო სპორტის ფედერაციის გამოყოფა, რაც საქართველოს სპორტკომიტეტის გადაწყვეტილებით დადასტურდა კიდეც.

სათხილამურო და საციგაო სპორტის ფედერაცია საქართველოს სპორტკომიტეტის შესაბამის განყოფილებას უნდა დაეხმაროს რესპუბლიკაში თხილამურებით რბენის, ტრამპლინიდან ხტომის, ორჭიდის, ბიატლონისა და საციგაო სპორტის შემდგომ პოპულარიზაციაში, სპორტის ამ სახეობებში მოსახლეობის უფრო ფართოდ ჩაბმაში, ბაზების ქსელის გაფართოებაში, სპორტინვენტარით უკეთ მომარაგებაში, შეჯიბრებების მაღალ დონეზე ჩატარებაში, რესპუბლიკის ნაკრები გუნდების პერსპექტიული სპორტსმენების შერჩევაში.

აღნიშნულ სახეობებში გასულ წლებში გაწეული მუშაობის, საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებების, რესპუბლიკაში ამ სახეობების დღევანდელი მდგომარეობის შესახებ კრებაზე ილაპარაკეს საქართველოს სპორტკომიტეტის საწყლოსნო და სპორტის მასობრივი სახეობების განყოფილების უფროსმა ა. არხანგელსკიმ, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სამთო-სათხილამურო სპორტის, ტურიზმისა და მთამსვლელობის კათედრის გამგემ ფ. ნავერიანმა, სათხილამურო სპორტის ვეტერანმა ა. გვალიამ, კინორეჟისორმა გ. შენგელაიამ და სხვებმა.

კრებამ მოისმინა, აგრეთვე, საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების ინსტრუქტორ ნ. ყურაშვილის ინფორმაცია საქართველოს პროფკავშირთა IV და სსრ კავშირის პროფკავშირთა VIII ზამთრის სპარტაკიადებისთვის რესპუბლიკის გუნდების მზადების შესახებ.

კრებაზე გამოსულებმა ილაპარაკეს ბაკურიანში 90-და 70-მეტრიანი ტრამპლინების გაჭიანურებულ მშენებლობაზე, რამაც აქვე ხელოვნურსაფარიანი ტრამპლინის მშენებლობის დაწყება შეაფერხა. ითქვა, რომ საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტმა თავის დროზე შეცდომა დაუშვა, როცა თბილისში დასადგმელად ჩამოტანილი ხელოვნურსაფარიანი ტრამპლინი რამდენიმე წლის შემდეგ მესტიის რაიონს გადასცა. ტრამპლინის დადგმა ვერც ამ რაიონის ხელმძღვანელობამ და სპორტულმა ორგანიზაციებმა მოახერხეს.

აღინიშნა ისიც, რომ სსრ კავშირის თითქმის ყველა დიდ ქალაქს უკვე აქვს ხელოვნურსაფარიანი ტრამპლინები და ამგვარი ბაზა თბილისშიც აუცილებელია, თუ გვინდა რომ რესპუბლიკაში სპორტის ეს სახეობა განვითარდეს და საქართველოს დედაქალაქს „მფრინავი მოთხილამურეები" ჰყავდეს.

კრებაზე ითქვა, რომ ვინაიდან რესპუბლიკაში ზამთრის სპორტის ხელმძღვანელობისთვის ორი ფედერაცია შეიქმნა, საქართველოს სპორტკომიტეტშიც შესაბამისად საჭიროა ამ სახეობებში სამუშაოდ მეორე საშტატო ერთეულის შემოღება, როგორც ეს სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სპორტკომიტეტებში უკვე დიდი ხანია არის.

შემდეგ მოეწყო არჩევნები. კრებამ დაადასტურა სათხილამურო და საციგაო სპორტის რესპუბლიკური ფედერაციის შექმნა და აირჩია ამ ფედერაციის [illegible] შემადგენლობით. ფედერაციის თავმჯდომარედ არჩეულია საქართველოს კომპარტიის ბორჯომის რაიკომის პირველი მდივანი შ. ჭალაგანიძე, მოადგილედ — სამხატვრო აკადემიის ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის გამგე ბ. ჯაფარიძე, პასუხისმგებელ მდივნად — „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს ინსპექტორი ა. კალინინი.

შეიქმნა მწვრთნელთა ორი საბჭო. სათხილამურო სპორტის მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს სპორტის დამსახურებული ოსტატი კ. წაქაძე, ხოლო საციგაო სპორტის მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარედ — საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი ა. ქუმარიტაშვილი.

მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია საკავშირო კატეგორიის მსაჯი კ. ახტახიშვილი.

დისციპლინარული კომისიის ხელმძღვანელობა დაევალა ო. გელაშვილს.



# მზად ახალსოფლის გზაზე

მზად კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად ახალსოფლის გზაზე ჩატარდა მასობრივი შეჯიბრება 3 და 6 კილომეტრზე სწრაფლაშქრობაში.

ასპარეზობაში მონაწილეობდა ცხაკაიას რაიონის 19 გუნდი. ყოველ გუნდში 4 ვაჟი და თითო ქალი შედიოდა.

გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კონტორის სპორტსმენებმა, II ადგილზე გავიდა ქალაქის ჩაის ფაბრიკის გუნდი, III — ეკის „კომუნისტის" სახელობის კოლმეურნეობის კოლექტივი.

6 კილომეტრზე რბენაში ყველას აჯობა ვ. ბასილაიამ (ატკ) — 25.14,0.

ქალთა შორის 3 კილომეტრზე რბენაში I ადგილი დაიკავა მ. ვართაგავამ (ატკ).

ყველა მონაწილემ ჩააბარა მზდ კომპლექსის ნორმატივები.

ვ. ბუზუნავა.
(ჩვენი კორ.).

ცხაკაია.

## „ლელო" პასუხობს...

**კითხვა:** ვარ მუშა. თავისუფალ დროს ვმეცადინეობ ჭიდაობის სექციაში. ამას წინათ რაიონის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში მონაწილეობა მივიღე საქართველოს VI ზონალურ სპარტაკიადაში. ფიზკულტურის რაიონულმა კომიტეტმა კოლექტივს, სადაც მე ვმუშაობ, ამის შესახებ დროულად აცნობა, მაგრამ ადმინისტრაცია გაცდენილი დღეების ხელფასს არ მინაზღაურებს.

გთხოვთ მიპასუხოთ, მეკუთვნის თუ არა შეჯიბრებაში მონაწილეობის გამო გაცდენილი დღეების ხელფასი?

ზ. ტუხაშვილი.

წითელი წყარო.

**პასუხი:** სადირექტივო ორგანიზაციების დადგენილების შესაბამისად, სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის მზადებისა და ამ ასპარეზობის პერიოდში სპორტსმენებს, რომლებიც საწვრთნელ შეკრებაში ან შეჯიბრებაში მონაწილეობის გამო აცდენენ სამუშაო დღეებს, ენახებათ საშუალო თვიური გამომუშავება. ამრიგად, ადმინისტრაცია ვალდებულია აგინაზღაუროთ შეჯიბრებაში მონაწილეობის გამო გაცდენილი დღეების ხელფასი.

• • •

**კითხვა:** ვის ევალება ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის გუნდების სპორტული ფორმით უზრუნველყოფა?

თ. ჩართაგავა,
ზუგდიდის რაიონის სოფ. ოქტომბრის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე.

**პასუხი:** სკოლის დირექცია ვალდებულია ერთიანი სპორტული ფორმით უზრუნველყოს მხოლოდ ნაკრები გუნდები, თუ ისინი მონაწილეობენ რაიონული, ან საქალაქო მასშტაბის შეჯიბრებებში.

სპორტული ფორმების შეძენაში სკოლებს ხშირად ეხმარებიან უწყებები, საშეფო ორგანიზაციები, კოლმეურნეობები ან საბჭოთა მეურნეობები.

• • •

**კითხვა:** ამას წინათ, თბილისში, მდინარე მტკვარზე ვთევზაობდით. მილიციის მუშაკმა ჩამოგვართვა ანკესი და დაჭერილი თევზი. გთხოვთ გვიპასუხოთ, შეიძლება თუ არა თბილისში მდინარე მტკვარზე თევზაობა?

გ. დანელია.

თბილისი.

**პასუხი:** როგორც თევზდაცვის რესპუბლიკურ გაერთიანებაში გვითხრეს, ეპიდემიის გამომწვევი ვიბრიონის აღმოჩენასთან დაკავშირებით თბილისში მდინარე მტკვარზე თევზაობა აკრძალული იყო 1 სექტემბრამდე. იმის გამო, რომ თევზდაცვის რესპუბლიკურმა გაერთიანებამ მილიციის ორგანოებს 1 სექტემბრიდან მტკვარზე თევზაობის დაშვების შესახებ დროულად ვერ გააფრთხილა, ისეთი შემთხვევები, როგორსაც თქვენ აგვიწერთ, მართლაც ხდებოდა. მაგრამ თუნდაც თევზაობის წესი დაგერღვიათ, მილიციის მუშაკის მოქმედება დაუშვებელი იყო. არსებული წესით, მილიციის მუშაკმა, როცა მოქალაქენი თევზაობის წესებს არღვევენ, თევზდაცვის ინსპექტორთან ერთად უნდა შეადგინოს სათანადო აქტი და დამნაშავეთ ჯარიმა გადაახდევინონ.

## სპორტსმენები წესრიგის სადარაჯოზე

# სამბო მისი მთავარი იარაღია



ლენტეხის რაიონის სოფელ შკედის მცხოვრებ ერისტო გელოვანს ბედნიერ მამას ეძახიან. მისი რვა შვილიდან ორი სპორტის ოსტატია, ერთი სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ორიც პირველთანრიგოსანი. უფროსი ვაჟი — შალვა სპორტის ოსტატობის კანდიდატია სამბოში, ლენტეხის რაიმილიციის განყოფილების უფროსი მერაბი სპორტის ოსტატია ძალოსნობაში, ლენტეხის რაიონის ავტოსატრანსპორტო კონტორის დისპეტჩერი მურადი კი — სამბოში. წარსულში მოთხილამურე, ამჟამად ცნობილი მეაბრეშუმე, წყალტუბოს რაიონის სოფელ ტყაჩირში მცხოვრები ლილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია, გულნარა კი — ლენტეხის რაიონული საბჭოს დეპუტატი. ყველაზე უმცროსი — მირზა, ჩიხარეშის სკოლის VIII კლასის ფრიადოსანი მოსწავლე, ჭიდაობით არის გატაცებული.

დღეს ამ სპორტული ოჯახის ერთ-ერთ წარმომადგენელზე, ლენტეხის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსზე, მილიციის კაპიტან მერაბ გელოვანზე გვინდა გესაუბროთ. იგი ახლა თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების III კურსის სტუდენტია, სპორტული გზა კი 15 წლისამ დაიწყო. ქართული ჭიდაობა უყვარდა და ხშირად მონაწილეობდა სარაიონო, ზონალურ თუ რესპუბლიკურ პირველობებში. სამი წლის მერე პირველთანრიგოსანი გახდა სამბოში და საბჭოთა არმიაშიც გაიწვიეს. არმიაში ძალოსნურ სპორტს ეზიარა და გულით შეიყვარა. სამი წლის განმავლობაში გამოდიოდა ლენინგრადისა და სხვა სამხედრო ოლქების ფიცარნაგებზე. ლენინგრადში გამართულ ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ძალოსანთა შეჯიბრებაში წარმატებაც მოიპოვა ქვესაშუალო წონაში.

მერე მერაბმა საგურამოში კოლმეურნეობის თავმჯდომარეთა სამწლიანი მოსამზადებელი სკოლა დაამთავრა. სკოლის დამთავრების შემდეგ მან ჯერ ლენტეხის რაიონის სოფელ ჩიხარეშისა და შკედის გაერთიანებული კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილედ დაიწყო მუშაობა, მალე კი თავმჯდომარე გახდა. საზრუნავი ბევრი ჰქონდა, მაგრამ სპორტი არასოდეს მიუტოვებია: სოფელში საზოგადოებრივ საწყისებზე ხელმძღვანელობდა ქართული ჭიდაობისა და სამბოს სექციებს, თვითონაც აქტიურად მონაწილეობდა რაიონულ და ზონალურ პირველობებში. მისი ძმა მურადი, სოფელ მელეს რვაწლიანი სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი დაზმირ ონიანი (იგი ამჟამად თვითონ ხელმძღვანელობს სოფელში ჭიდაობის სექციას), ჯიმშერ და ტრისტან ავალიანები დღეს სპორტის ოსტატები რომ არიან, სწორედ მერაბს უნდა უმადლოდნენ.

შემდეგ მერაბ გელოვანმა წარმატებით დაამთავრა ბაქოს უმაღლესი პარტიული სკოლა და მუშაობა დაიწყო ლენტეხის მილიციის უფროსის მოადგილედ. ოთხი წელია, რაც იგი ლენტეხის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებას ჩაუდგა სათავეში, სადაც სამბოს სექციასაც ხელმძღვანელობს: მერაბის ხელმძღვანელობით თერთმეტი ოფიცერი სწავლობს ჭიდაობას.

სამბოში პირველთანრიგოსნები არიან კაპიტანი ნოდარ გუგავა, უფროსი ლეიტენანტი ჯემალ ლიპარტელიანი, სერჟანტი ბორის გუგავა და სხვები. რაიონში არც ერთი სპორტული ღონისძიება არ ჩატარდება, რომ მისი ერთ-ერთი თაოსანი მერაბ გელოვანი არ იყოს. მარტო ერთ რამეზე სწყდება გული: ინვენტარისა და ბაზის უქონლობის გამო მის საყვარელ სახეობას — ძალოსნობას ნაკლები ყურადღება ექცევა.

რა თქმა უნდა, მერაბი ყველაზე მეტ დროსა და ყურადღებას სამსახურს ანდომებს. საქმე ბევრი აქვს. ყველა მომსვლელს მთელი გულისყურით, მოთმინებით უნდა მოუსმინოს, ყველას შესაფერისი პასუხი გასცეს. სამი შვილის მამამ კარგად იცის, რომ დღევანდელ პატარა ბიჭებსა და გოგონებს ხვალ მამა-პაპათა სასახელო საქმეების გაგრძელება დაეკისრებათ. ამიტომ იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ბავშვთა სწორ აღზრდას.

— საჭიროა მოზარდი წესრიგს შევაჩვიოთ, გავუღვივოთ მეგობრობის, კოლექტივის სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობა, ჩავაბათ სპორტულ ცხოვრებაში. — ხშირად იტყვის ხოლმე მერაბი.

მილიციის უფროსი კეთილშობილი, რაინდული ბუნების კაცია, მაგრამ, როცა საქმე საქმეზე მიდგება და საჭიროება მოითხოვს, დამნაშავეს ძალითაც დაჯაბნის და იარაღსაც მოიშველიებს.

დღეს მილიციის მუშაობაში მთავარი დანაშაულის მიზეზების დროულად გამოაშკარავება და აღმოფხვრაა. ეს კი მხოლოდ ყოველდღიური დაუზარელი მუშაობით შეიძლება.

...1970 წელს სოფელ ხელეთიდან ხუთმა შეიარაღებულმა კაცმა ქალი გაიტაცა. ძირითადი დამნაშავე ჭელიერელი ფ. ხაბულიანი იყო. ბოროტმოქმედნი ერთ კვირას ტყეში იმალებოდნენ, მერე კი ისინი მერაბის ხელმძღვანელობით ოპერატიულმა ჯგუფმა შეიპყრო. მოძალადეებს საკადრისი მიეზღოთ.

...შარშან რაიონის ცენტრში ხულიგნობა მოხდა: ნ. ქურასპეტიანი და მ. გაზდელიანი თავშეყრილ მოქალაქეებს სიკვდილით ემუქრებოდნენ. მერაბი მთელი სიძლიერით მოქნეული დანის ქვეშ აღმოჩნდა, მაგრამ სპორტული წრთობა გამოიყენა, ხულიგნებს იარაღი აართვა და დააპატიმრა.

...ზაფხული იყო. ღამის ორ საათზე განყოფილებაში მოვიდა მ. კირიანოვი, რომელიც კრასნოიარსკის მხრიდან ტურისტად ჩამოსულიყო. კირიანოვი ორ შეიარაღებულ კაცს გაეძარცვა. იმ ღამეს საქმის შესწავლისთანავე მერაბის ხელმძღვანელობით შედგა ოპერატიული ჯგუფი. დამნაშავეებს ტყეში მიაგნეს და იარაღი ჩამოართვეს, ი. თედორაძისა და ვ. ლობჟანიძის საქმე სასამართლოს გადასცეს, დაზარალებულს კი თავისი დაუბრუნეს.

ვინ მოსთვლის, რამდენი ასეთი შემთხვევის მონაწილეა მერაბ გელოვანი, ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

დასასრულ იმასღა დავძენთ, რომ სპორტის ოსტატი, მილიციის კაპიტანი მერაბ გელოვანი სამაგალითო მეოჯახე და შესანიშნავი მეგობარია.

ლ. ხეცურიანი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ლენტეხი.

• • •

სურათზე: მ. გელოვანი.
შ. გახიანის ფოტო.

# მოთხოვნილება მაღლობს

## ფიზკულტურის კოლექტივებში

ზესტაფონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ფიზკულტურული კოლექტივი (თავმჯდომარე ო. აბაშიძე) სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობს. ტექნიკუმს აქვს საკუთარი ძალებით მოწყობილი ფეხბურთის მინდორი, ხელბურთის და ფრენბურთის მოედნები, მძლეოსნური სარბენი ბილიკები, ტყორცნისა და ხტომის სექტორები. თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული მზდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების გეგმა-გრაფიკი, სექციური მუშაობის ცხრილი.

ამას წინათ სასწავლებლის ფიზკულტურელებმა ფეროშენადნობთა ქარხნის საცურაო აუზში მზდ კომპლექსის ნორმატივები ჩააბარეს. ოქროს სამკერდე ნიშნის მოთხოვნა შეასრულეს გ. რობაქიძემ, დ. გვეტლესიანმა, ა. კობახიძემ, დ. მანჯგალაძემ, მ. ჯიმშიაშვილმა და ჯ. ხარაიშვილმა.

ტექნიკუმის დირექცია (დირექტორი გ. ხუსიკვაძე) კარგად იყენებს სპორტის აგიტაციისა და პროპაგანდის საშუალებებს. საუცხოოდაა გაფორმებული ფიზაღზრდის კაბინეტი. ტექნიკუმი ამზადებს საზოგადოებრივ-ფიზკულტურულ მუშაკებს — ინსტრუქტორებსა და მეთოდისტებს, რომლებიც 200-საათიანი პროგრამით მეცადინეობენ. ისინი ამით მეორე პროფესიას იძენენ.

ტექნიკუმი მეოთხე წელია ახალ შენობაში დაბინავდა. მშენებლებს დღემდე არ დაუმთავრებიათ კომპლექსური მოედნების მოწყობა და სპორტული დარბაზის აგება. ეს, რასაკვირველია, მუშაობას აფერხებს. საჭიროა სათანადო ორგანოებმა იზრუნონ ამ ნაკლის გამოსწორებისთვის.

ა. ბანუზრაშა,
(ჩვენი კორ.).

ზესტაფონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

# დაცვის ხელოვნება

IX ტური. ე. გუფელდი (თბილისი) — ვ. ნიჩევსკი (იუგოსლავია) 0,5:0,5, ს. ბოხოსიანი (ბულგარეთი) — რ. კინი (ინგლისი) 0,5:0,5, გ. ლებრედო (კუბა) — ვ. ჩოკილტეა (რუმინეთი) 1:0, ბ. გურგენიძე (თბილისი) — რ. ხოლმოვი (მოსკოვი) 0:1, ვ. შმიდტი (პოლონეთი) — ვ. ბაგიროვი (ბაქო) 0:1, ა. შნაპიკი (პოლონეთი) — ა. ტუზოვსკი (სოხუმი) 1:0, ე. უბილავა (თბილისი) — გ. სიგურიონსონი (ისლანდია) 0,5:0,5, ნ. გაფრინდაშვილი — თ. გიორგაძე (ორივე — თბილისი) 0,5:0,5.

X ტური. ნიჩევსკი — გიორგაძე 0,5:0,5, სიგურიონსონი — გაფრინდაშვილი 0,5:0,5, ჩოკილტეა — გურგენიძე — 1:0, კინი — ლებრედო 1:0, გუფელდი — ბოხოსიანი 1:0. გადაიდო პარტიები: ტუზოვსკი — უბილავა, ბაგიროვი — შნაპიკი, ხოლმოვი — შმიდტი.

10 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან გ. სიგურიონსონი — 6,5 ქულა, რ. კინი, ე. გუფელდი, თ. გიორგაძე — 6-6, ნ. გაფრინდაშვილი — 5,5, ვ. ბაგიროვი, რ. ხოლმოვი — 5-5 ქულა და თითო გადადებული პარტია, ვ. ჩოკილტეა — 5.

ფინიშმა შეხვედრები გაამძაფრა. IX ტურში ყველაზე ხანმოკლე მხოლოდ გაფრინდაშვილ — გიორგაძის პარტია იყო, — 16 სვლა. სხვა შეხვედრები უფრო ხანგრძლივი გამოდგა.

— თამაზმა ესპანურ პარტიაში მოულოდნელად ბერძის ვარიანტი შემომთავაზა. იგი საგანგებოდ მოემზადა, ამიტომ თავდაჭერილად უნდა მეთამაშა. მალე პოზიცია ძალზე გამარტივდა და დავზავდით, — გვითხრა მსოფლიო ჩემპიონმა.

გუფელდმა და კინმა ვერ გატეხეს მეტოქეთა წინააღმდეგობა. უპირატესობა ვერც სიგურიონსონმა მიიღო. უბილავას დაცვა უნაკლო გახლდათ.

დაცვის ჭეშმარიტი ზეიმი სიგურიონსონ — გაფრინდაშვილის შეხვედრაში იყო. ისლანდიელი ოსტატი დიდოსტატის ძალს უმიზნებს და ყველა მეტოქეს დიდი შემართებით ეპაექრება. პირველი სვლებიდანვე მან ცხარე ბრძოლა გაუმართა ნონას.

სიგურიონსონის ცენტრალურმა პაიკმა კომბინაციის შენიღბული მუქარა შექმნა. ნონამ ისლანდიელი ოსტატის კომბინაცია უვნებელყო და აიძულა შემტევი ფიგურები გაეცვალა. მალე ისლანდიელი მოჭადრაკე ცაიტნოტში მოექცა (ორიოდე წუთში შვიდი სვლა უნდა მოესწრო). ამ სიტუაციაში მსოფლიო ჩემპიონმა მწვავე ტაქტიკური თამაში გააჩაღა. სიგურიონსონი ეტლების მძაფრი ენდშპილის ყველა ნიუანსში ვერ გაერკვა და თამაში გათანაბრდა. ისლანდიელმა ოსტატმა ნონას ყაიმი შესთავაზა.

X ტურში ლებრედომ კინთან უარეს პოზიციაში ხანგრძლივ დაცვაზე უარი თქვა, კუს შეწირვით ინიციატივის დაუფლება სცადა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია, ვინაიდან ეს შეწირვა მცდარი იყო. ბოხოსიანმა გუფელდს ლაზიერიც კი შესწირა გამვლელი პაიკის მიღების იმედით. პაიკი მიიღო, მაგრამ ვარიანტის გაანგარიშებაში შეცდა. გუფელდმა ახალი ლაზიერი გააყვანინა, მაგრამ ზედმეტი კუ დარჩა.

უთანაბროდ თამაშობს გურგენიძე. იგი ყველა პარტიაში მთელი მონდომებით იბრძვის, უმწვავეს გაგრძელებებს ირჩევს და უარეს პოზიციას არ ერიდება. ხოლმოვთან ესპანური პარტია ორიგინალურად წარმართა და თამაშ[illegible]საც თავად წაუძღვა, მიტელშპილში იერიშიც დაიწყო, მაგრამ სადღაც შეცდა და ინიციატივას მოსკოველი დიდოსტატი დაეუფლა. ენდშპილის თამაშის დროს კი გურგენიძე უმძიმეს ცაიტნოტში მოექცა. გურგენიძემ ჩოკილტეასთან ფრანგული დაცვა საკუთარი ქარგით გაითამაშა. მან დააყოვნა ამ ხადებიუტო სისტემისთვის დამახასიათებელი კონტრთამაშის შექმნა და ჩოკილტეამ მხედრის შეწირვით შეუტია. პოზიცია ძალზე გართულდა: იერიში რუმინელ მოჭადრაკისგან დიდ სიზუსტეს მოითხოვდა, მით უმეტეს, რომ ქართველი მოჭადრაკე კარგი ტაქტიკოსია. ჩოკილტეა ორჯერ ასცდა სწორ გზას და ვინ იცის, როგორ დამთავრდებოდა ეს შეხვედრა, გურგენიძე სასტიკ ცაიტნოტში რომ არ მოხვედრილიყო.

სამ გადადებულ პარტიაში, რომლებიც დღეს დილით უნდა დამთავრდეს, უბილავას ტუზოვსკისთან ეტლში კუ და პაიკი აქვს. ფიქრობენ, რომ შეხვედრა ყაიმით დამთავრდება. ყაიმია მოსალოდნელი აგრეთვე, ბაგიროვ — შნაპიკის პარტიაში. მწვავე პოზიციაში შეწყდა ხოლმოვ — შმიდტის შეხვედრა.

**თ. გიორგაძე,**
მემორიალის მთავარი მსაჯი, საერთაშორისო არბიტრი.






სურათზე: დიდოსტატი რ. ხოლმოვი „ძალას იკრებს".
მ. ზარგარიანის ფოტო.

# თბილისელი მოსწავლეების წარმატება

ამას წინათ ბათუმში მოეწყო საქართველოს მოსწავლეთა შესარჩევი ღია პირველობა ჭადრაკში. ჩვენი მოჭადრაკეების გარდა, ბრძოლაში მონაწილეობდნენ მოსკოვის, ალმა-ათის, ბაქოს და ბელცის (მოლდავეთი) წარმომადგენლები. შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით (7 ტური) ჩატარდა.

გოგონათა ტურნირში, რომელშიც 24 მოჭადრაკე მონაწილეობდა, I ადგილი დაიკავა თბილისის 130-ე საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლემ, ოსტატობის კანდიდატმა ნ. იოსელიანმა (მწვრთნელი — თ. თურქესტანიშვილი) — 6,5 ქულა. II ადგილზეა თბილისის 55-ე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე, ოსტატობის კანდიდატი ნ. გურიელი (მწვრთნელი — ოსტატი ი. ჩიქოვანი) — 6. III ადგილი ხვდა თბილისის მე-15 საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლეს, ოსტატობის კანდიდატ ქ. მელაშვილს (მწვრთნელი — ოსტატი თ. ლომაია) — 5.

საინტერესო ტურნირმა ბევრი ნიჭიერი მოჭადრაკე გამოავლინა, მაგალითად, თბილისელები ნანა და მარინე წხაიძეები, ლ. სადუნიშვილი, ლ. ჯახურიძე, ქუთაისელები დ. მესხი, მ. ჭირაქაძე, რუსთაველი ს. გურგენიძე, მახარაძელი ნ. იმნაძე, გორელი ც. ქახოშვილი.

ჭაბუკთა ტურნირში 32 მოჭადრაკე ჩაება. მათ შორის 5 ოსტატობის კანდიდატი იყო.

ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა თბილისის 37-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლემ, ოსტატობის კანდიდატმა გ. ზაილენკომ (მწვრთნელი — ოსტატი ა. ბუხაკოვი) — 6 ქულა. II-III ადგილები გაიყვეს ოსტატობის კანდიდატებმა გ. გრძელიშვილმა (თბილისის მე-60 საშუალო სკოლის VIII კლასი) და ზ. აზმაიფარაშვილმა (თბილისის მე-15 საშუალო სკოლის VIII კლასი) — 5,5-5,5. კოეფიციენტთა ცხრილით, II ადგილი მიეკუთვნა გრძელიშვილს (მწვრთნელი — ოსტატი დ. ჯანოევი), III — აზმაიფარაშვილს (მწვრთნელი — ოსტატი თ. ლომაია).

პერსპექტიულ მოჭადრაკეებად გაგვაცნეს თავი გ. კუზმინმა, გ. მაღალაშვილმა, ა. თოფურიამ (ყველა — თბილისი), მ. იაილიანმა (აფხაზეთი) და თ. ჟამალოიძემ (აჭარა). თავიანთ შესაძლებლობებზე სუსტად გამოვიდნენ ოსტატობის კანდიდატები ზ. სტურუა და ი. ეფიმოვი.

შეჯიბრებამ ცხადყო, რომ ნორჩ მოჭადრაკეებთან მუშაობა სათანადო დონეზე არ დგას.

ტურნირებში გამარჯვებული ნ. იოსელიანი და გ. ზაილენკო ზამთრის არდადეგების დღეებში ვილნიუსში სსრ კავშირის მოსწავლეთა ჩემპიონატში ითამაშებენ.

**ც. ხერგიანი.**

# ხომ უკეთესია სუსტი მეტოქე?

მორიგი მატჩი მსოფლიო პირველობაზე ჭადრაკში რობერტ ფიშერსა (აშშ) და ანატოლი კარპოვს (სსრ კავშირი) შორის, როგორც ცნობილია, უნდა დაიწყოს მომავალი წლის ივნისში. ახალგაზრდა საბჭოთა დიდოსტატმა ეს უფლება მოიპოვა მას შემდეგ, რაც ბრწყინვალედ დაძლია შესარჩევი შეჯიბრებების — საზონათაშორისო ასპარეზობის, აგრეთვე, პრეტენდენტთა ტურნირის ყველა ზღუდე. ამ შეჯიბრებებში კარპოვმა საერთო ჯამში 60 პარტია ითამაშა, კერძოდ, ნახევარფინალში მან დაამარცხა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ბ. სპასკი, ხოლო ფინალში კი დაძაბული ბრძოლის შემდეგ — ვ. კორჩნოი.

მაგრამ ამ დღეებში, საჭადრაკო სამყაროსთვის სრულიად მოულოდნელად ფიშერთან შეხვედრა გადაწყვიტა... ბრაზილიელმა ჰ. მეკინგმა. დიახ, სწორედ იმ მეკინგმა, რომელმაც პრეტენდენტთა ტურნირში საკმაოდ იოლად წააგო მეოთხედფინალური მატჩი კორჩნოისთან და „გვირგვინისთვის" შემდგომ ბრძოლას გამოეთიშა.

მაგრამ ისევე, როგორც კორჩნოისთან თვალსის (აშშ) მატჩის მსვლელობისას, მეკინგი ახლაც თავის თავს უძლიერეს პრეტენდენტად მიიჩნევს და ამიტომაც გამოიწვია ჩემპიონი. როგორც საზღვარგარეთული სატელეგრაფო სააგენტოები იუწყებიან, მსოფლიოს ჩემპიონმა თითქოს მიიღო ეს გამოწვევა.

ფიშერ — მეკინგის შეხვედრის ზუსტი ვადები, ადგილი და პირობები ჯერ კიდევ არ არის ცნობილი, მაგრამ, ბრაზილიელის სიტყვებით, მატჩი შეიძლება იანვარში გაიმართოს. „ორთაბრძოლის პირობები ისეთი იქნება, — განაცხადა მეკინგმა, — როგორსაც ამერიკელი მოისურვებს".

მეკინგი ჯერჯერობით არ ამბობს თუ ვინ დააფინანსებს ამ მატჩს: მისი მილიონერი მამა თუ რომელიმე შეძლებული ჭადრაკის მოყვარული მეცენატი. ამჟამად მისთვის მთავარია ორთაბრძოლაში ფიშერის გამოწვევა.

როგორია ამ საკითხზე ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის (ფიდე) აზრი, რომლის ეგიდით უნდა ჩატარდეს მსგავსი მატჩები.

ჯერჯერობით ფიდე დუმს. ფიშერი და მეკინგი მაინცდამაინც არ უწევენ ანგარიშს საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციას. როგორც სააგენტოები იუწყებიან, ბრაზილიელი პირდაპირ ამბობს: ამ მატჩს ფიშერთან ფიდე-ს დალოცვის გარეშეც ვითამაშებთ.

მაინც რა სურს მეკინგს? „ნუთუ ეს არ არის ნათელი? — უპასუხა ერთ-ერთ კორესპონდენტს რიო-დე-ჟანეიროში გამართულ პრეს-კონფერენციაზე. — რასაკვირველია, უფრო სავარაუდოა, რომ ფიშერი გაიმარჯვებს. მაგრამ იქნებ მე მოვიგო? თუ ეს მოხდა, მაშინ წინააღმდეგი არ ვიქნები ვითამაშო მატჩი მსოფლიო პირველობაზე კარპოვთან..."

კომენტარი, როგორც იტყვიან, ზედმეტია.

როგორც ჩანს, ფიშერი სრულიადაც არ არის დარწმუნებული კარპოვთან გამარჯვებაში, რაკი მეტოქედ აირჩია მეკინგი, ადამიანი, რომელიც თავისი კაპრიზებითა და პრეტენზიებით ჩამოჰგავს ფიშერს. უნდა გავიხსენოთ, რომ ნიცის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე მეკინგი ისე არასპორტულად იქცეოდა, რომ ბრაზილიის გუნდი იძულებული იყო გაერიცხა იგი თავისი რიგებიდან.

შედგება თუ არა ეს მატჩი? თუ შედგა, მაშინ ნუღარ გამოიყენებს ფიშერი მას კანონიერ პრეტენდენტთან თამაშზე უარის სათქმელად.

ა. კარპოვთან თამაშზე უარის შემთხვევაში მსოფლიო ჩემპიონად გამოცხადდება საბჭოთა დიდოსტატი. სწორედ ამის შესახებ სულ ახლახან მტკიცედ განაცხადა ფიდე-ს პრეზიდენტმა მაქს ეივემ.

**ვ. ბაბკინი.**

[illegible]

ჭადრაკი

# თავი აარიდ[illegible]

აგერ უკვე მერამდენე წელია ტრადიციად დამკვიდრდა პროფკავშირთა იმ დარგობრივი კომიტეტების სპარტაკიადა, რომელთაც „განთიადის" ცენტრალური საბჭო მეურვეობს.

წლევანდელი სპარტაკიადის პროგრამაში სპორტის 9 სახეობა იყო. ტურნირები უკვე დამთავრდა, გამოვლინდნენ პრიზიორები და საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებულები.

სპარტაკიადის შედეგებზე გვესაუბრა სპარტაკიადის მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი ბ. ბაკანოვი.

შეჯიბრებები 3 ეტაპად მიმდინარეობდა. საკმაოდ მასობრივი გამოდგა I ეტაპი — შიდასაკოლექტივო ტურნირები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 84528 კაცმა. II ეტაპი იყო პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტების სპარტაკიადა, III — „განთიადის" სპარტაკიადის ფინალი.

რესპუბლიკური ტურნირები განსაკუთრებით კარგად მოაწყვეს რუსთავში, ქუთაისში, ფოთში, თბილისში, სოხუმში.

კარგი მომზადება გამოავლინეს ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური, აგრეთვე, მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის კომიტეტებისა და სპორტკლუბ „განთიადის" გუნდებმა.

აქვე აღვნიშნავთ, რომ სპარტაკიადაში მონაწილეობას თავი აარიდა მანქანათმშენებლობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის (თავმჯდომარე ი. ჭუმბურიძე) ნაკრებმა. ამ კავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გულგრილობის გამო სპარტაკიადის მიღმა დარჩნენ ისეთი დიდი კოლექტივების სპორტსმენები, როგორიც არიან ქუთაისის ავტოქარხნის სპორტული კლუბი „კოლხიდა" და თბილისის ჩარხსაშენებელი ქარხნის სპორტკლუბი „გამარჯვება".

სპარტაკიადის ერთ სახეობაში — მძლეოსნობაში ჩატარებული შეჯიბრების შედეგები მკითხველებს უკვე გავაცანით. ახლა სხვა მაჩვენებლებზე ვისაუბროთ.

ქართული ჭიდაობა მცხეთაში ჩატარდა. სარბიელზე 49 სპორტსმენი გამოვიდა.

საერთო გუნდური ადგილები ამ თანმიმდევრობით განაწილდა: მეტალურგიული, ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური, საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის პროფკავშირების კოლექტივები.

ველოსპორტში 8 კოლექტივის 32 სპორტსმენი ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას. პროგრამაში იყო 25 კილომეტრზე ინდივიდუალური რბოლა, 100-კმ-ზე ჯგუფური შეჯიბრება და 50 კმ-ზე გუნდური ასპარეზობა.

სამივე სახეობის საერთო გუნდურ ჩათვლაში I ადგილზე გავიდა მეტალურგიული მრეწველობის პროფკავშირის კომიტეტის ნაკრები, II ადგილი წილად ხვდა სპორტკლუბ „განთიადს", III — ქვანახშირის მრეწველობის პროფკავშირის კოლექტივს.

მოცურავეთა ასპარეზობაში ქალთა შორის I თანრიგის ნორმატივი მხოლოდ დ. ვასაძემ (მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის კავშირი) შეასრულა — 100 და 200 მეტრზე ბრასით ცურვაში (შესაბამისად 1.28,4 და 3.07,1).

ამ მხრივ ვაჟებს უფრო უხვი მოსავალი ჰქონდათ. პირველი თანრიგისა და უკეთესი შედეგით გაიმარჯვეს: 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ვ. ბურმისტროვმა — 1.01,1, 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში ვ. ოშელჩენკომ (ორივე — ნავთობმრეწველობის კავშირი) — 1.07,0, ამავე დისტანციაზე ბრასის სტილით ცურვაში ს. ხედელკომ — 1.14,6, 100 და 200 მეტრზე ბატერფლაით გ. გოდერძიშვილმა (ორივე — საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის კავშირი) — 1.02,5, და 2.20,0.

გუნდური პირველობა მოიგეს ნავთობმრეწველობის პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის სპორტსმენებმა (106 ქულა), რომლებმაც სარწმუნოდ გაასწრეს ელექტრომრეწველობის კავშირის გუნდს (85 ქულა). III ადგილზეა მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის კავშირის ნაკრები.

ტყვიის მსროლელთა შეჯიბრება კიროვის სახელობის ქარხნის სასროლეთზე ჩატარდა. გუნდური გამარჯვება „განთიადის" სპორტსმენებს ხვდათ, II ადგილზეა ელექტრომრეწველობის პროფკავშირის კოლექტივი, III — ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის გუნდი.

სპარტაკიადის ბოლო დღეებში გამოვლინდნენ პრიზიორები კალათბურთში, ფრენბურთსა და ხელბურთში. კალათბურთელ ქალებში ყველას აჯობეს ელექტროტექნიკური მრეწველობის პროფკავშირის კომიტეტის წარმომადგენლებმა. II ადგილზე არიან სპორტკლუბ „განთიადის" სპორტსმენები, III — მეტალურგიული მრეწველობის პროფკავშირის წარმომადგენლები. ელექტროტექნიკური მრეწველობის გუნდმა I ადგილი დაიკავა ხელბურთშიც. II ადგილზე გავიდნენ მეტალურგიული მრეწველობის კავშირის გოგონები, III — ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის პროფკავშირის კომიტეტის წარმომადგენლები.

ფრენბურთში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: მსუბუქი, მეტალურგიული, ელექტროტექნიკური მრეწველობის პროფკავშირების გუნდები.

ვაჟთა შორის კალათბურთში I ადგილზე გავიდნენ ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის პროფკავშირის კომიტეტის წარმომადგენლები. II ადგილზე არიან მშენებლობის მუშაკთა, III — მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების წარმომადგენლები. მეტალურგები პირველნი იყვნენ ფრენბურთელ ვაჟთა ასპარეზობაში. II ადგილზე გავიდნენ ელექტროტექნიკური მრეწველობის პროფკავშირის კომიტეტის წარმომადგენლები, III — ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის კავშირის სპორტსმენები.

ხელბურთში პრიზიორები გახდნენ: ელექტროტექნიკური, ნავთობისა და ქიმიური, მეტალურგიული მრეწველობის კავშირების გუნდები.

საერთო გუნდური შედეგების შეჯამების შემდეგ I ადგილზე გავიდა ელექტროტექნიკური მრეწველობის პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ნაკრები, რომელმაც 144 ქულა მოაგროვა. მას 19 ქულით ჩამორჩნენ მეტალურგიული მრეწველობის პროფკავშირის კომიტეტის წარმომადგენლები. III ადგილი ხვდა ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის პროფკავშირის კომიტეტის კოლექტივს — 111 ქულა.

**დ. კიკნაველიძე.**

# ნორმატივები კატოვიცესთვის

მძლეოსნობის ევროპულმა ასოციაციამ დააწესა ნორმატივები დახურულ დარბაზში ევროპის ჩემპიონატში მონაწილეებისთვის. როგორც ცნობილია, ეს ტურნირი 8-9 მარტს პოლონეთის ქალაქ კატოვიცეში გაიმართება და ნორმატივების შესაბამისი შედეგები სპორტსმენებმა მანამდე უნდა აჩვენონ.

ნორმატივები ასეთია. ქალები: რბენა. 50 ან 60 მეტრზე — 6,3 ან 7,5; 400 მ — 54,5; 800 მ — 2.08,0; 1500 მ — 4.21,0. 50 ან 60 მეტრზე თარჯრბენი — 7,3 ან 8,5. სიმაღლეზე ხტომა — 180 სმ. სიგრძეზე ხტომა — 630 სმ. ბირთვის კვრა — 17 მ.

ვაჟები: რბენა. 50 ან 60 მეტრზე — 5,7 ან 6,7; 400 მ — 48,0; 800 მ — 1.50,5; 1500 მ — 3.48,0; 3000 მ — 8 წუთი. 50 ან 60 მეტრზე თარჯრბენი — 6,8 ან 8,0. სიმაღლეზე ხტომა — 216 სმ. სიგრძეზე ხტომა — 770 სმ. სამხტომი — 16 მ. ჭოკით ხტომა — 510 სმ. ბირთვის კვრა — 18,60 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## გდრ — ბელგია 0:0

ლაიპციგი. 35 ათასი მაყურებელი დაესწრო ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ბელგიის ნაკრებ გუნდებს შორის. მასპინძელთა ხშირ იერიშებს ბელგიელებმა გაძლიერებული დაცვა დაუპირისპირეს და აიღეს ქულა — 0:0.

ბელგიის გუნდი VII ჯგუფში ლიდერობს 5 ქულით.

## ჩემპიონობა მოიპოვეს

თბილისისა და ქუთაისის სტადიონებზე მიმდინარეობდა სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა 1974 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში.

გათამაშების გადამწყვეტ ეტაპზე ლიდერობდნენ ამიერკავკასიისა და მოსკოვის სამხედრო ოლქების ნაკრები გუნდები, რომლებსაც შესაბამისად 11 და 10 ქულა ჰქონდათ 12 შესაძლებლიდან.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის გუნდმა შეძლო საჭირო ქულის აღება — 0:0 და მოიპოვა ჩემპიონის წოდება. გუნდს წვრთნიან სპორტის დამსახურებული ოსტატი ზ. კალოევი და გ. ლომიძე.

## საბჭოთა გუნდები უცხოეთში

**ხართუმი.** ოდესის „ჩერნომორეცმა“ დაამთავრა თავისი ტურნე სუდანში. ოდესელმა ფეხბურთელებმა ბოლო მატჩი მოუგეს ჩრდილოეთ ხართუმის კლუბების ნაკრებ გუნდს 4:1.

**სან-ფრანცისკო.** აშშ-ში სტუმრად მყოფმა ერევნის „არარატმა“ კიდევ ერთხელ დაამარცხა მექსიკის ჩემპიონატის ლიდერი „ტოლუკა“. პირველი ბურთი 25-ე წუთზე გაიტანა ერევნელმა მარქაროვმა. მატჩის მსვლელობაში მექსიკელებმა ორჯერ გაათანაბრეს ანგარიში, მაგრამ „არარატმა“ მაინც შეძლო დამაჯერებელი გამარჯვების მოპოვება — 6:2.

## დებულება შეიცვალა

ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის აღმასრულებელმა კომიტეტმა განსაზღვრა ევროპის საკლუბო ტურნირების ფინალურ შეხვედრათა თარიღები. ევროპის ჩემპიონთა თასის გადამწყვეტი მატჩი 28 მაისს შედგება პარიზში, ხოლო თასების მფლობელთა თასისა — 14 მაისს ბაზელში.

ამას გარდა დადგინდა, რომ ამ ტურნირების ფინალური მატჩები მომავალი გათამაშებიდან (1975-76 წ.წ.) ჩატარდება შეცვლილი სისტემით. თუ მატჩის ძირითად დროში ვერც ერთი გუნდი ვერ მიაღწევს წარმატებას, დამატებითი თამაში აღარ დაინიშნება. გამარჯვებულის გამოსავლენად დაინიშნება დამატებითი 30 წუთი და თუ მაშინაც ვერც ერთმა გუნდმა ვერ გაიმარჯვა, ფინალის ბედს გადაწყვეტს პენალტების სერიები.

## დაწინაურდნენ კონგოელები

ბრაზავილში შედგა აფრიკის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის პირველი ფინალური მატჩი ფეხბურთში კონგოს „რენესანო-კარაბა“ და ეგვიპტის „მაალას“ შორის.

კონგოელებმა ძლიერად ითამაშეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 4:2. ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა 13 დეკემბერს შედგება კაიროში.

## ახალი ამბები-74

● **ბალტიმორი**, 8 დეკემბერი. აშშ-ს ამ ქალაქში გამართული ტრადიციული მარათონული რბენა მოიგო ინგლისელმა რ. ჰილმა, რომელმაც დისტანციის გავლას 2:17.28,2 მოანდომა.

● **ვილნიუსი**, 8 დეკემბერი. აქ დამთავრდა მაგიდის ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 7 ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენები გამოდიოდნენ. ქალთა გუნდებში იმარჯვა სსრ კავშირის ნაკრებმა — 3:1, ასეთივე ანგარიშით უნგრეთის ვაჟთა კოლექტივმა მოუგო საბჭოთა გუნდს.

● **ფუკუოკა**, 8 დეკემბერი. იაპონიის მძლეოსნობის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია აქ ჩატარებულმა მარათონელთა ასპარეზობამ, რომელშიც 102 სპორტსმენი (93 იაპონელი და 9 უცხოელი) გამოდიოდა. ინტერესს ისიც ალვივებდა, რომ მონაწილეთა შორის იყო მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონი მძლეოსნობის ამ სახეობაში, ამერიკელი ფ. შორტერი. ოლიმპიურმა ჩემპიონმა შეძლო გამარჯვების მოხვეჭა — 2:11.31,2.



როგორც ცნობილია, ამას წინათ ყაზახეთის დედაქალაქ ალმა-ათაში დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება კრივში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრები გუნდები.

ფინალში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ თასის შარშანდელი მფლობელის „სპარტაკის“ და შეიარაღებული ძალების ნაკრები კოლექტივები. ფინალური ბრძოლა საინტერესო და სპორტულად დაძაბული გამოდგა. ხან ერთი მეტოქე იყო წინ, ხან მეორე. შეხვედრის ბედი გადაწყვიტა მძიმე წონის მოკრივეთა ასპარეზობამ, რომელიც მოიგო საბჭოთა არმიის წარმომადგენელმა.

ს უ რ ა თ ზ ე: სსრ კავშირის თასის წლევანდელი მფლობელი შეიარაღებული ძალების გუნდი.

(საკდესი).



გამოჩენილმა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა პელემ, როგორც ცნობილია, დატოვა მწვანე მინდორი, მაგრამ ფეხბურთისთვის საერთოდ თავი არ მიუნებებია. ამას წინათ პელე 8 დღით იმყოფებოდა იაპონიაში, სადაც სანვენებელ გაკვეთილებს ატარებდა იქაურ ნორჩ მოთამაშეებთან.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: პელე იაპონელ ბიჭუნებთან მეცადინეობის დროს.

აპ-საკდესის ტელეფოტო.

## ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

### ინგლისი

გათამაშების ლიდერმა — „სტოკ სიტიმ“ შაბათს სტუმრად მოუგო „ბირმინგემ სიტის“ — 3:0. ლიდერის მეტოქეებისთვის ეს XXI ტური უიღბლო გამოდგა: „იფსვიჩ თაუნი“ დიდი ანგარიშით დამარცხდა სტუმრად „მიდლსბროსთან“ (0:3), ხოლო „ლივერპულმა“ შინ „დერბი ქაუნთისთან“ უაღრესად დაძაბულ შეხვედრაში მხოლოდ ქულა აიღო — 2:2. „ლიდს იუნაიტედი“ ლონდონში ანგარიშით 2:1 დაამარცხა ადგილობრივმა „ვესტ ჰემ იუნაიტედმა“ და ჩემპიონი ახლა მხოლოდ XIV ადგილზეა.

ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურმა“ შინ მოუგო „ნიუკასლ იუნაიტედს“ — 3:0. 2 გოლი მცველმა ნოულზმა გაიტანა, ერთიც — ცენტრფორვარდმა ჩივერსმა. ლივერპულის „ევერტონმა“ სტუმრად დაამარცხა „ლესტერ სიტი“ (2:0), ხოლო „მანჩესტერ სიტიმ“ შინ სძლია „შეფილდ იუნაიტედს“ — 3:2.

აი, ლიდერებიც:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „სტოკ სიტი“ | 21 | 36:25 | 27 |
| „ევერტონი“ | 20 | 29:19 | 26 |
| „მანჩესტერ სიტი“ | 21 | 29:27 | 26 |
| „ლივერპული“ | 20 | 27:16 | 25 |
| „იფსვიჩ თაუნი“ | 21 | 28:18 | 24 |

II ლიგის ლიდერი „მანჩესტერ იუნაიტედი“ სტუმრად აგებდა „შეფილდ უენსდეისთან“ (1:3), მაგრამ მანჩესტერელებმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება (4:4) და 5 ქულის სხვაობით ლიდერობენ.

### შოტლანდია

გლაზგოს „სელტიკმა“ შაბათს თავის მინდორზე მოუგო „დანფერმლაინ ატლეტიკს“ — 2:1. „გლაზგო რეინჯერსმა“ ასეთივე ანგარიშით სტუმრად სძლია „აბერდინს“.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სელტიკი“ | 15 | 39:12 | 26 |
| „გლაზგო რეინჯერსი“ | 15 | 41:14 | 26 |
| „ჰიბერნიენი“ | 15 | 30:15 | 22 |

### იტალია

კვირას გამართული IX ტურის 8 შეხვედრაში სულ 10 გოლი იქნა გატანილი. ლიდერებმა — ტურინის „იუვენტუსმა“ და „ტორინომ“ ფრედ ითამაშეს — 0:0. მილანში ამავე სახელწოდების ადგილობრივმა გუნდმა და „ნაპოლიმ“ ასევე ვერ შეძლეს გოლის გატანა.

რომის „ლაციომ“ ფრანძონის ერთადერთი გოლის წყალობით 2 ქულა მოიპოვა „ბოლონიასთან“ მატჩში. „რომას“ თავდამსხმელმა დე სისტიმ „კალიარისთან“ შეხვედრის მიწურულს მასპინძელთა კარში გადამწყვეტი გოლი გაიტანა — 2:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „იუვენტუსი“ | 9 | 13:4 | 14 |
| „ნაპოლი“ | 9 | 13:4 | 12 |
| „ტორინო“ | 9 | 11:5 | 12 |

### ესპანეთი

მადრიდის „ატლეტიკომ“ გუშინწინ შინ აჯობა ალიკანტეს „ერკულესს“ — 2:0. გოლები გაიტანეს ბესერამ და ადელარდომ.

„ბეტისმა“ მიიღო „ბარსელონა“ — 0:0. ბარსელონაში ადგილობრივმა „ესპანიოლმა“ ქულა დაკარგა ხიხონის „სპორტინგთან“ — 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რეალი“ (მადრიდი) | 10 | 26:12 | 17 |
| „ბარსელონა“ | 11 | 26:16 | 15 |
| „ესპანიოლი“ | 11 | 16:14 | 14 |

### ჰოლანდია

„ფშვ ეინდჰოვენმა“ თავის მინდორზე მოუგო „დე გრააფსხაპს“ — 3:0. როტერდამის „ფეიენოორდმა“ სძლია როტერდამის „ექსცელსიორს“ — 2:1, ამსტერდამის „აიაქსი“ კი სტუმრად დამარცხდა „ალკმაართან“ — 0:3.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ფშვ ეინდჰოვენი“ | 12 | 39:11 | 22 |
| „ფეიენოორდი“ | 12 | 37:11 | 20 |
| „აიაქსი“ | 12 | 31:11 | 19 |

### ბელგია

„ფკ ბრიუგემ“ შინ მოუგო ბრიუსელის „ანდერლეხტს“ — 3:1. მოლენბეკის „რასინგ ვიტმა“ აგრეთვე შინ სძლია „კს ბრიუგეს“ — 3:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რასინგ ვიტი“ | 16 | 38:14 | 25 |
| „ანდერლეხტი“ | 16 | 29:10 | 21 |
| „ფკ ბრიუგე“ | 16 | 25:16 | 21 |

### პორტუგალია

ლისაბონის „ბენფიკამ“ საკუთარ სტადიონზე დაამარცხა სეტუბალის „ვიტორია“ — 2:0. „პორტუმ“ სტუმრად აჯობა „უნიაუ დე ტომარს“ — 5:1.

18-18 ქულით ლიდერობენ „პორტუ“ და „ბენფიკა“. გიმარაიშის „ვიტორია“ 17 ქულით III ადგილზეა.

### პოლონეთი

15 ტურის შემდეგ ლიდერობს ხოჟუვის „რუხი“. 12 გოლით საუკეთესო სნაიპერთა სიას მეთაურობს მარქსი („რუხი“).

| | | | |
|---|---|---|---|
| „რუხი“ | 15 | 39:8 | 27 |
| „სტალი“ (მელეცი) | 15 | 20:10 | 22 |
| „ლეხი“ (პოზნანი) | 15 | 18:18 | 18 |

### ბულგარეთი

ახალმა ლიდერმა — სოფიის „სლავიამ“ სტუმრად მოუგო ტირნოვოს „ეტარს“ — 2:0. სოფიის „ლევსკი-სპარტაკმა“ შინ ქულა დაკარგა ბლაგოევგრადის „პირინთან“ — 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სლავია“ | 14 | 30:14 | 19 |
| „ლევსკი-სპარტაკი“ | 14 | 26:15 | 17 |
| ცსკა (სოფია) | 14 | 23:15 | 17 |

### გდრ

იენის „კარლ ცაისმა“ საკუთარ მინდორზე მოუგო დრეზდენის „დინამოს“ — 3:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „კარლ ცაისი“ | 11 | 21:5 | 20 |
| „მაგდებურგი“ | 11 | 29:12 | 19 |
| „შტალი“ (რიზა) | 11 | 16:14 | 14 |

### უნგრეთი

15 ტურის შემდეგ ლიდერობს „დოჟა უიპეშტი“.

საუკეთესო სნაიპერები არიან კოზმა („ჰონვედი“) და ბენე („დოჟა უიპეშტი“) — 13-13 გოლი.

| | | | |
|---|---|---|---|
| „დოჟა უიპეშტი“ | 15 | 46:16 | 28 |
| „ჰონვედი“ | 15 | 31:9 | 24 |
| „ფერენცვაროში“ | 15 | 28:12 | 20 |

## საკუთარი ინფორმაცია

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

### თბილისის სპორტულ ...

**ჭადრაკი.** ჭადრაკის სასახლე (ლენინის ქ. № 37). ვ. გოგლიძის III მემორიალი. 10-16 დეკემბერი. 10 დეკემბერს შედგება XI ტური, 11-ში — XII, 12-ში — XIII, 13-ში — XIV, 14-ში — გადადებული პარტიების დამთავრება, 15-ში — დასვენითი, XV ტური. დასაწყისი 16 ს. 16 დეკემბერს გაიმართება გადადებული პარტიების დამთავრება (დასაწყისი 10 ს.) და მემორიალის საზეიმო დახურვა (დასაწყისი 19 ს.).



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რ ე დ ა ქ ც ი ი ს მ ი ს ა მ ა რ თ ი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“

ტ ე ლ ე ფ ო ნ ე ბ ი: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული განყოფილება — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობისა და ჭადრაკის განყოფილებები — 93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.

ИНДЕКС 66448 — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. — უე 02839